ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4511878

ნომერი: AR1681947

თარიღი : 17.05.2019

გაცემის თარიღი : 22.05.2019

გაცნობის თარიღი : 23.05.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა ზაჰესი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რამაზი ხვედელიძე პ/ნ 62006053243
- ქ.თბილისი ფალიაშვილის 62ა ბინა 15ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 17 მაისის №AR1681947 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დაბა ზაჰესში, შპს „გოლდ გურია“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.01.761), 02.07.2018წ. № 4042418 ბრძანებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გაპი) ცვლილების შეტანას, კერძოდ

„საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები - სახელოსნო (სამკერვალო, სამხატვრო, სამჭედლო და სხვა)“ ნაცვლად „მარცვლეული კულტურის შესანახი საწყობის“ დაფიქსირებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან სამსახურის მიერ 02.07.2018წ. № 4042418 ბრძანებით გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები „„საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები - სახელოსნო (სამკერვალო, სამხატვრო, სამჭედლო და სხვა)“ ფუნქციით, ხოლო ამჟამად ითხოვთ 10/06/2016 წ. № 2620241 ბრძანებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და სხვა ფუნქციის დაფიქსირებას (მარცვლეული კულტურის შესანახი საწყობი) სამსახური აღნიშნულ საკითხს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გაპი) ცვლილების შეტანის კუთხით ვერ განიხილავს, რადგან მოცემული ფუნქცია საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, გამომდინარე აქედან პირველ რიგში შესაბამისი დოკუმენტაციით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge შესაბამისი მოთხოვნის კუთხით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.